ადრესატი:

გიორგი გაზდელიანი
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:ბ/24434700
თარიღი: 25/11/2024

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 12

დ. ლენტეხი. 20.11. 2024 წ.

მიმდინარე წლის 20 ნოემბერს დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ;

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის თავმჯდომარე ლამზირა გუგავა, წევრები-დავით პირველი, მეკლუდ ლიპარტელიანი, ირაკლი ქურასბედიანი, მარეხი ონიანი, გიორგი შავრეშიანი. მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ლამზირა გუგავამ სხდომის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი;

1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

/მომხ. ლ. გუგავა/

მოისმინეს: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობების პროექტი, სადაც შემოსულობები 2025 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 1300,0 ათ. ლარი. 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობები 670.0 ათ. ლარით.

1. შემოსულობების ზრდაში ყველაზე მეტი წვლილი საგადასახადო შემოსავლების ზრდას შეაქვს. რომელიც 2025 წელს 2024 წელთან შედარებით 630.0.ათ. ლარით გაიზარდა. აქედან გამომდინარე რენტა გაიზარდა 550.0 ათ. ლარით, სანქციები და ჯარიმები 50.0 ათ. ლარით, შერეული სხვა არა კლასიფიცირებული მოსაკრებელი 30.0 ათ. ლარით.

2.საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრმა საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დავით პირველმა მიმართა კითხვით საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს ბიუჯეტის შემოსავლების ზრდის თაობაზე.

ტახუ ჩანქსელიანმა აღნიშნა, რომ ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდა გამოიწვია შემოსავლებისა და ხარჯებს შორის დეფიციტმა, რომლის შესრულებაზე და შევსებაზე მიმდინარე წლის განმავლობაში უნდა იზრუნოს საკრებულოსა და მერიის შესაბამისმა სამსახურებმა.

კომისიის მსჯელობის შედეგად ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით გამოიკვეთა შემდეგი შენიშვნები:

1.ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას ა(ა)ი პირების თანამშრომლების სახელფასო სარგოს 10% მატება;

2.სკოლამდელი განათლების დაწესებულებებისთვის მეთოდური სამუშაო მასალებისთვის თანხის დამატება;

3. წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში ბიუჯეტის გადასახდელებში განსაზღვრულია თანხის კლება და მატება მუხლების მიხედვით, შესაბამისად აუცილებელია წარმოდგენილი იქნას მერის ახსნა-განმარტებითი ბარათი ამ საკითხთან მიმართებაში, თუ რამ განაპირობა აღნიშნული პროცესი.

კერძოდ:

1.ა(ა)იპ ლენტეხის თემებში მოსახლეობასთან ურთიერთობის ცენტრი- 1700 ლარით მეტი;

2.ა(ა)იპ ოლეგ ლიპარტელიანის სახელობის კომპლექსური სპორტული სკოლა - 600 ლარით ნაკლები;

3.ა(ა)იპ სასპორტო სკოლების გაერთიანება -- 800 ლარით ნაკლები;

4.ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება - 300 ლარით მეტი;

5. ა(ა) იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება -16 100 ლარით ნაკლები;

6. კულტურული ღონისძიებების დაფინანსება - 7300 ლარით მეტი;

7.სპორტული ღონისძიებების დაფინანსება -7200 ლარით ნაკლები;

8. საკრებულოს შრომის ანაზღაურების მუხლში, კერძოდ დანამატის მუხლში გათვალისწინებული იქნას საკრებულოს აპარატის 9(ცხრა) თანამშრომლის დანამატი - თანხით 9 000 (ცხრა ათასი) ლარი;

კომისიის სხდომა დამთავრდა 14 საათზე.

ლამზირა გუგავა

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-საფინანსო-საბიუჯეტო კომიხიის თავმჯდომარე